



ჯ. 04/126-17
15.02.17

ოზურგეთის რაიონული სასამართლო

№ 127

9 თებერვალი, 2017 წელი
ქ.ოზურგეთი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
თავმჯდომარეს ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

მისამართი: ქ.თბილისი, ჯ.კახიძის ქ. №15,
ტელ.: (+99532) 2952353

ქალბატონო ანა,

თქვენი 2017 წლის 1 თებერვლის №გ-04/124-17 განცხადების პასუხად, რომელიც ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში შემოვიდა ამა წლის 6 თებერვალს, გაცნობებთ შემდეგს:

1. განცხადებაში მითითებული მუხლებით 2012-2017 წლებში განხილული იქნა 12 სისხლის სამართლის საქმე;
2. თორმეტივე საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით (გამამართლებელი განაჩენი არ დამდგარა);
3. სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთ საქმეზე არ შეწყვეტილა.

რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას ზემოხსენებულ პერიოდში გამოტანილი განაჩენების გადმოგზავნაზე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27¹-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მოთხოვნილი ინფორმაცია იძლევა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას, ანუ ეხება პირის პერსონალურ მონაცემებს. საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა იდენტიფიკაციის შესაძლებლობას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არის პირის პერსონალური მონაცემი. შესაბამისად ასეთ ინფორმაციაზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმი.

ამდენად სასამართლო აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემების გახმაურებას. მონაცემი დაცვას ექვემდებარება უკეთეს შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ამასთან, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ, გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზემდგომ თანამდებობის პირთან, ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ოზურგეთი, სიორიძის ქ. №14).

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია გადმოგიგზავნოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი განაჩენები მხოლოდ მხარეთა პერსონალური მონაცემების (სახელის, გვარის, ასაკის, მისამართის, განათლების, სამუშაო ადგილის, პროფესიის და სხვ.) გარეშე, ანუ დაშტრიხული სახით.

მითითებულის გათვალისწინებით, საქმის მასალები მოძიებულია, რაც შეადგენს „87“ გვერდს (დასამუშავებელი და პრინტერით ამოსაბეჭდი - 87 გვერდი). „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად და მისი გათვალისწინებით, ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობამ სულ შეადგინა - „8“ ლარი, „70“ თეთრი, რომელიც დაშტრიხულ დამუშავებული მასალის მიღების სურვილის შემთხვევაში უნდა ჩარიცხოთ შემდეგ ანგარიშზე:

სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი - 220101222

ერთიანი ანგარიშის № 200122900

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი
№ 302003173.

გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ მასალა დამუშავდება და შესაძლებლობა მოგვეცემა გადმოგიგზავნოთ თქვენს მიერ განცხადებაში მითითებულ მისამართზე.

პატივისცემით,

ზვიად მახარაძე

სასამართლოს მენეჯერი